№1726 2015 წლის 13 აგვისტო ქ. თბილისი

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისათვის“ უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ (ს/კ 206237491) უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ვადით, გადასცეს გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ოთარშენში მდებარე 38876 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საერთო ფართით - 12081.41 კვ.მ, კერძოდ: №01 განაშენიანების ფართით - 1856,6 კვ.მ; №02 განაშენიანების ფართით - 167,3 კვ.მ; №03 განაშენიანების ფართით - 255 კვ.მ; №04 განაშენიანების ფართით - 132 კვ.მ; №05 განაშენიანების ფართით - 136,2 კვ.მ; №06 განაშენიანების ფართით - 10446,9 კვ.მ; №07 განაშენიანების ფართით- 124,5 კვ.მ; №08 განაშენიანების ფართით - 84,1 კვ.მ; №09 განაშენიანების ფართით - 136,2 კვ.მ; №10 განაშენიანების ფართით - 49,3 კვ.მ; №11

განაშენიანების ფართით - 50,4 კვ.მ; №12 განაშენიანების ფართით - 45,2 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №66.44.01.011).

2. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**